ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 31 (5061)

1974 წ. 13 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სამზადისს ამთავრებენ




საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალურ სტარტებამდე თვეზე ნაკლები დარჩა. ბევრგან უკვე დამთავრდა წინა ეტაპის შეჯიბრებები — საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სპარტაკიადები, ზოგი ქალაქი, მხარე, ოლქი და რესპუბლიკა ძალთა გენერალურ შემოწმებას ახლა ამთავრებს, მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები კი სამიოდე დღის წინათ გაჩაღდა.

მოსკოვის ზამთრის VII სპარტაკიადის მთავარი სათხილამურო სტადიონი პლანიორნაიას მიდამოებშია. აქ შეჯიბრება მთელ კვირას გაგრძელდება და საკავშირო სპარტაკიადის საგზურებიც დარიგდება. ნაკრები გუნდები სვერდლოვსკისა და ბაკურიანისკენ გაემგზავრებიან.

დედაქალაქის სპარტაკიადა მორბენლებმა გახსნეს. ვაჟები 30 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო — სამივე საპრიზო ადგილი ამ საზოგადოების წევრებმა დაისაკუთრეს. ყველას მაინც სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ფ. სიმაშოვმა აჯობა — 1:38.21.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა გ. პილიუშენკო (ცსკა) — 40.50. ამ შეჯიბრებაში ძალა იჟევსკელმა გ. კულაკოვამაც სცადა და ყველაზე კარგი შედეგიც აჩვენა — 38.25.

ლენინგრადის სპარტაკიადის სტარტზე სულ 1300 სპორტსმენი გამოვა. პროგრამის პირველი სახეობა აქაც რბოლა იყო, ოღონდ ქალებმა შეჯიბრება 5-კილომეტრიანი დისტანციით დაიწყეს. პირველობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. შებალინამ („სპარტაკი") მოიპოვა — 17.03, ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე შეჯიბრებაში ქალაქის ჩემპიონი პირველად გახდა ნ. გრიგორიევი — 1:30.52.

საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მოციგავეებმა ძალები შეამოწმეს ცესისში, სადაც ამას წინათ სსრ კავშირის თასი გაითამაშეს. მთავარი ჯილდო ლენინგრადელებმა დაისაკუთრეს. II ადგილი დაიკავეს ლატვიელებმა, III — უკრაინელებმა. შეჯიბრება 1012-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 90 მ, 12 ვირაჟი) ჩატარდა. ქალთა შორის იმარჯვა ნ. შაშკოვამ (მოსკოვი), რომელმაც სამი დაშვების ჯამში 2.49,46 აჩვენა და ვ. ზაზულიას (ლატვია) 0,51 წამით აჯობა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო უკრაინელი ი. კორიაკინი — 2.46,65. ორადგილიანებით დაშვებაში პირველობა ლენინგრადელებს, ვ. ილინსა და ს. პროკოფიევს დარჩათ.

უკრაინისა და ბელორუსიის ზამთრის ფინალური სპარტაკიადები ჯერ არ დაწყებულა. სამაგიეროდ, ამ რესპუბლიკების სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა, საოლქო და საქალაქო სპარტაკიადები დასასრულს უახლოვდება. მაგალითად, ბელორუსიაში უკვე დამთავრდა ბრესტის, მოგილიოვის, მინსკის, ვიტებსკის, აგრეთვე, „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკისა" და სხვა საზოგადოებათა სპარტაკიადები.

მინსკის სპარტაკიადაში სპეციალურ სლალომში ყველა საპრიზო ადგილი „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა მოიგეს. ქალებში პირველობა ამას წინათ ბაკურიანის ტრასებზე „ლელოს" პრიზისთვის მოასპარეზე ტ. ხრაპკოვას დარჩა, ვაჟებში იმარჯვა ს. პენიგინმა. მონაწილენი 360-მეტრიან ტრასაზე ოთხჯერ ეშვებოდნენ.

## წაგება ფინალში

ფლორიდის შტატის ქალაქ პეტერსბერგში (აშშ) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები გამოდიოდნენ. დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ა. მეტრეველმა, რომელმაც ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მართალია, მან ფინალური შეხვედრა ავსტრალიელ ჯ. ნიუკომბთან წააგო (0:6, 6:7), მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრამდე ბევრ ძლიერ ჩოგბურთელს გადაუწურა წარმატების იმედი.



## რანიკუს — თასი, ჩიბურდანიძეს — ვერცხლის მედალი

**რანიკუ — ჩიბურდანიძე 2,5:1,5**

**მოსკოვი, 12 თებერვალი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ქალთა საკავშირო თასისთვის მ. რანიკუ (ტალინი) — მ. ჩიბურდანიძის (თბილისი) მატჩის დასკვნითი, IV პარტია.

რანიკუს მატჩის მოგებისთვის ყაიმიც რომ ჰყოფნიდა, ეს ბრძოლასაც დაეტყო. ესპანურ პარტიაში ჩიბურდანიძემ უპირატესობა ვერ მიიღო, ვინაიდან უპრეტენზიოდ თამაშობდა. რანიკუმ ცენტრალური პაიკების გაცვლის შემდეგ პოზიცია მთლიანად გაათანაბრა და მერე ინიციატივის ხელში ჩაგდებაც სცადა. ნორჩი მოჭადრაკე ზუსტად თამაშობდა. პოზიცია კიდევ უფრო გამარტივდა. 30-ე სვლაზე, ჩიბურდანიძის წინადადებით, მეტოქენი დაზავდნენ.

აი, როგორ მოხდა ეს:

**ჩიბურდანიძე — რანიკუ**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 b5 6. კb3 კb7 7. c3 მ:e4 8. ეe1 d5 9. d3 მc5 10. მ:e5 მ:e5 11. ე:e5+ მe6 12. d4 კd6 13. ეe1 ლh4 14. h3 0—0 15. მd2 ეfe8 16. მf3 ლh5 17. კe3 მf4 18. კc2 ეad8 19. კ:f4 კ:f4 20. ლd3 კc8 21. ეe2 g6 22. ეae1 ე:e2 23. ლ:e2 კe6 24. მd2 ლh6 25. მf3 ეe8 26. კd3 კd7 27. ლd1 ლf8 28. მფf1 ლd6 29. ე:e8+ კ:e8 30. ლe2. ყაიმი.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა რანიკუს გამარჯვებით — 2,5:1,5.

18 თებერვალს ორთაბრძოლის საზეიმო დახურვაზე ესტონელ მოჭადრაკეს სსრ კავშირის თასი გადაეცემა, ნორჩი თბილისელი ოსტატი ვერცხლის მედალს მიიღებს, ხოლო კ. ზვორიკინა (მინსკი) — ბრინჯაოს ჯილდოს. ზვორიკინამ III ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში ლ. სემიონოვას (კიევი) სძლია — 1,5:0,5 (III და IV პარტიები არ შედგა კიეველი ოსტატის ავადმყოფობის გამო).

ბევრს ალბათ გული დასწყდა, რომ პატარა მაიამ ფინალური მატჩის სტარტზე მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ეს გასაკვირი არ იყო. მაია მართლაც პატარაა, გამოცდილება და ცოდნა აკლია. ბევრი რამ მან თვით მატჩის პროცესში ისწავლა. ჩვენი აზრით, ნორჩი ოსტატისთვის ვერცხლის მედალი თვალსაჩინო წარმატებაა. ყველამ დაინახა ჭადრაკისადმი მისი უზომო სიყვარული, დიდი შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, რაც შემდგომი ზრდის უტყუარი საწინდარია.

**მ. შიშოვი,**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

## ხუთი პრიზიორი

თებერვლის პირველ რიცხვებში რიგაში ჩატარდა შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სამხედრო ოლქების უძლიერესი ათლეტები, მათ შორის ამიერკავკასიის მოჭიდავეები, რომლებიც თავიდანვე ჩაებნენ მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში.

უძლიერესი გუნდი გამოავლინა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ათლეტთა დავამ. გამარჯვება წილად ხვდათ პირველებს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეთა გუნდი II ადგილზე გავიდა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ლ. ხართიშვილი).

წარმატებით იასპარეზეს ამიერკავკასიის ათლეტებმა პირად ჩათვლაშიც. ჩემპიონები გახდნენ გ. გოგნაძე (68 კგ) და თ. მაჭავარიანი (82 კგ), ხოლო დ. ბაქრაძემ (52 კგ), ვ. ანტონოვმა (68 კგ) და ნ. ბაბიაშვილმა (90 კგ) III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

შეჯიბრების შემდეგ შედგა შეიარაღებულ ძალთა ნაკრები გუნდის კანდიდატთა სია, რომელშიც სხვა უძლიერეს „კლასიკოსებთან" ერთად მოხვდნენ: დ. ბაქრაძე, თ. ბაბუხადია (62 კგ), გ. გოგნაძე, თ. მაჭავარიანი, ნ. ბაბიაშვილი, გ. დოგუზაშვილი (90 კგ), მ. მორჩილაძე (100 კგ).

აპრილში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს რიგაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში.





## ერთი სროლის ფასი

**მოსკოვი, 11 თებერვალი.** აღგილობრივი „დინამოს" და ცსკა-ს კალათბურთელთა შეხვედრა მუდამ დაძაბულად მიმდინარეობს. გამონაკლისი არც დღევანდელი მატჩი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კოლექტივის წამყვანი კალათბურთელები მძიმე და მომქანცველი ტურნედან დაბრუნდნენ (ისინი ორი კვირის მანძილზე ბრაზილიასა და კუბაში იმყოფებოდნენ), ამ შეხვედრისთვის მეტოქენი ერთობ აგრესიულად იყვნენ განწყობილი.

პირველი ტაიმი დინამოელთა ერთგვარი უპირატესობით წარიმართა. ისინი უფრო აქტიურად თამაშობდნენ, ენერგიულად იცავდნენ თავს და ეფექტურადაც ამთავრებდნენ შეტევებს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ტაიმი „დინამომ" მოიგო — 49:41.

შესვენების შემდეგ ინიციატივას არმიელები დაეუფლნენ. მათ ანგარიშის გათანაბრებაც კი მოახერხეს, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. „დინამომ" არმიელთა იერიშებს მწვავე კონტრშეტევები დაუპირისპირა და ბოლოს ბოლოშევის ზუსტი სროლის წყალობით ერთხელ კიდევ დაწინაურდა.

სსრ კავშირის ჩემპიონის პრესტიჟი იხსნა გუნდის კაპიტან ს. ბელოვის ერთმა ზუსტმა სროლამ, რომელიც გამარჯვების ტოლფასი აღმოჩნდა — 83:82.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 13 | 1 | 1274—1094 | 13 |
| „სპარტაკი" | 13 | 11 | 2 | 963—837 | 11 |
| „კალევი" | 14 | 9 | 5 | 1101—1023 | 9 |
| „სტროიტ." | 14 | 8 | 6 | 1156—1098 | 8 |
| „დინ." (მ.) | 14 | 7 | 7 | 1111—1101 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 15 | 7 | 8 | 1140—1160 | 7 |
| რტი | 14 | 5 | 9 | 981—1106 | 5 |
| ასკ (რიგა) | 15 | 4 | 11 | 1119—1258 | 4 |
| ასკ (კიევი) | 14 | 3 | 11 | 1023—1151 | 3 |
| „ქალვირ." | 13 | 3 | 10 | 958—998 | 3 |

## ჩემპიონატი განახლდა

**კიევი, 11 თებერვალი.** აქ სპორტის სასახლეში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

გთავაზობთ შედეგებს: „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 65:47, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 78:40, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — ტტტ (რიგა) 48:76, „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 83:65, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 85:68, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 73:68.

მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" ჰოკეისტთა გუნდი 16-წლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

• • •

სურათზე: ჩემპიონები.

ვ. უნ და ხინისა და ა. იაკოვლევის ფოტო (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

## მეტი გარჯა გვმართებს

ლელოს ინსპექცია

ონის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ განვითარებისთვის არც ისე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. მთის ფერდობებზე შეფენილ სოფლებში სპორტული ბაზების მოწყობა ძნელია, მაგრამ რაიონში მაინც ბევრი რამ გაკეთდა. ახლა აქ ფიზკულტურელთა განკარგულებაშია სპეციალიზებული საჭიდაო დარბაზი, 5 სასკოლო სპორტდარბაზი, ფეხბურთის მინდორი, 12 კალათბურთისა და 80 ფრენბურთის მოედანი.

რაიონის 68 ფიზკულტურული კოლექტივი 4000-ზე მეტ კაცს აერთიანებს. არსებული, უმეტესად მარტივი ტიპის ბაზები, ცხადია, ყველას ვერ გასწვდება.

რაიონის ფიზკულტურულ მუშაკებსა და მწვრთნელებს დიდი შრომა სჭირდებათ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებისთვის. შარშან მაღალთანრიგოსანთა მომზადებაში თავი არ შეურცხვენიათ: გეგმის გადაჭარბებით ერთი სპორტის ოსტატი (თავისუფალ ჭიდაობაში) და ორი პირველთანრიგოსანი სპორტსმენი მისცეს რესპუბლიკას. რაც შეეხება მასობრივი თანრიგების სპორტსმენებისა და მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადებას, აქ ონელები საგრძნობლად ჩამორჩნენ. II-III და მოზარდთა თანრიგები 1250-ის ნაცვლად მხოლოდ 1069 ფიზკულტურელმა შეასრულა.

რაიონში კარგად ესმით მშდ კომპლექსის მნიშვნელობა მოსახლეობის გაჯანსაღებაში. შარშან ამ ღონისძიებაში 8156 კაცი ჩაება. ნორმატივები 1200 ფიზკულტურელს უნდა ჩაებარებინა, მაგრამ გეგმა მხოლოდ 67 პროცენტით შესრულდა.

რა აფერხებს ონის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებას? ამ კითხვაზე რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ქოჩლაძემ გვიპასუხა:

— მონდომებული, გამრჯე ადამიანი ყველა დაბრკოლებას გადალახავს. სწორედ ასეთი კაცია ჩორდის ბარიტის მადაროთა სამმართველოს უფროსი დავით მეტრეველი. მისი მონდომების შედეგია, რომ დღეს ამ სამმართველოს ფიზკულტურელთა განკარგულებაშია 25-მეტრიანი დახურული აუზი თბილი წყლით, კომპლექსური მოედნები. ამ კოლექტივის სპორტული ბაზები რაიონში საუკეთესოა, ფაქტიურად ეს აუზია ჩვენი დასაყრდენი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. შრომისმოყვარე კაცია ფიზკულტურის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ვარდენ გაგნიძეც. კოლექტივის წარმატებაში მასაც დიდი დამსახურება მიუძღვის.

ონის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს ხათუნა გობეჯიშვილს კარგად ესმის გამაჯანსაღებელ ფიზკულტურულ ღონისძიებათა როლი შრომისნაყოფიერების ამაღლებაში. ამიტომაც იგი ფიზკულტურელთა ყველა თაოსნობას მხურვალედ უჭერს მხარს.

ვერც ონის 1-ლი და მე-2, პიპილეთისა და ირის საშუალო, ღარისა და შეუბნის რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებს ვუსაყვედურებთ, მაგრამ სხვა ორგანიზაციებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაუმჯობესებისთვის ბევრი არაფერი კეთდება.

რაიონის საწარმოთა და კოლმეურნეობათა უმეტესობაში მარტივი ტიპის სპორტული ბაზებიც კი არ არის. ასეა, მაგალითად, შქმერის, ცხმორის, ღებისა და გლოლის კოლმეურნეობებში.

ონის რაიონში ფიზიკურად ძლიერი, გამრჯე ახალგაზრდობაა. ახალგაზრდებს უყვართ მძლეოსნობა, ჭიდაობა, სპორტთამაშები, სათხილამურო სპორტი, მაგრამ ამ სახეობაში ვარჯიშის საშუალება ბაზების უქმარობის გამო ყველას როდი აქვს. რაიონის თოთხმეტ მთიან სოფელში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის შესანიშნავი პირობებია. განსაკუთრებით გლოლელებს უყვართ ეს სახეობა. ამ სოფელში ოთხი პირველთანრიგოსანი მოთხილამურე აღიზარდა. გლოლელია ნანა ბალაშვილი, რომელმაც საქართველოში თხილამურებით მორბენალთა შორის პირველმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. რბოლასა და სამთოსათხილამურო სახეობებში სავარჯიშოდ მარტივი ტიპის ბაზების მოწყობას დიდი შრომა არ სჭირდება, მაგრამ ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელები ამ იოლ საქმესაც ვერ ართმევენ თავს.

მთავარი მაინც ინვენტარის უქმარობა გახლავთ. სკოლების დირექციები, საწარმო-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა მესვეურები სათხილამურო ინვენტარის შესაძენად თითქმის არაფერს იმეტებენ. ამას ისიც ემატება, რომ რაიონში განათლების განყოფილების ან ფიზკულტურის კომიტეტის ერთი ჯგუფიც კი არ არსებობს, სადაც მოზარდები სათხილამურო სპორტში რეგულარულად ივარჯიშებდნენ. •

ესეცაა მიზეზი, რომ კარგი ტრადიციები თანდათან დავთმეთ: წლევანდელ ზამთრის რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ვერც ერთი ქულა ვერ მოვიპოვეთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც ახალ ამოცანებს უსახავს. ამ ამოცანების შესრულებისთვის საჭიროა ბაზების ქსელის გაფართოება, ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმა, მათი სპორტული ტანსაცმლითა და ინვენტარით მომარაგება, ჯანმრთელობის ჯგუფების ამოქმედება, მასობრივი შეჯიბრებების ხშირად ჩატარება.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით: ონში საცურაო აუზის მშენებლობა დაიწყო. ამ ბაზის მწყობრში ჩადგომამ ხელი უნდა შეგვიწყოს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, თორემ მარტო ბარიტის მადაროთა სამმართველოს აუზით ფონს გასვლა გვიჭირს, საგუბრები კი, რომლებიც პირველად შარშან გამოვიყენეთ, მთლად საიმედო არ არის.

ონის რაიონის ფიზკულტურელები მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის და ვეცდებით გეგმის ყველა მაჩვენებლები დროულად და ხარისხოვნად შევასრულოთ.

---

თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ბევრი მოსწავლე ბავშვთა სპორტსკოლებშია ჩაბმული, უმრავლესობა კი, ბუნებრივია, სკოლის სხვადასხვა სექციაში იმაღლებს ოსტატობას. სპორტული სკოლებისა და შიდასასკოლო სექციებისკენ გზა რომ გაიკაფო, ჯერ ფიზაღზრდის გაკვეთილებზე უნდა გამოიჩინო თავი. ამიტომ არის, რომ მასწავლებლები გულმოდგინედ აკვირდებიან თავიანთ აღსაზრდელებს, ასწავლიან ფიზიკური კულტურის ანბანს, შემდეგ კი მათ შორის საუკეთესოები უფრო დიდ ასპარეზზე გაჰყავთ.

სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. ესებუა დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდება დაკისრებულ საქმეს. სურათებზე, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა მ. ზაგარიანმა გადაიღო, აღბეჭდილია ფიზკულტურაში მეცხრეკლასელთა მეცადინეობის ორი მომენტი. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ მოსწავლე ნ. სინაურიძეს, რომელსაც ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. ესებუა ძელზე წონასწორობის დაცვის ელემენტს ასწავლის. მეორე სურათზე მოსწავლეები სიმაღლეზე ხტომაში ცდიან ძალებს.




## ერთი სკოლით ფონს ვერ გავალთ

თბილისში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის სარბიელზე, გაიმართა რესპუბლიკის ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ფიგურულ ციგურაობაში. დედაქალაქის კოლექტივის სახელით შეჯიბრებაში მხოლოდ ამ სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა გამოსვლა არც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან არსად არ არის ხელოვნური ყინულის სარბიელი, რომელზეც სრულწლიური წვრთნის ჩატარება შეიძლება. არ ჰყავთ მწვრთნელთა კადრები, არ არის შექმნილი სპეციალური ჯგუფები.

ფაქტიურად, ეს შეჯიბრება სასკოლო პირველობა უფრო იყო, მაგრამ ტურნირს მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სწორედ ამ სკოლის აღზრდილებმა უნდა დაიცვან საქართველოს სპორტული სახელი სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში. გუნდი მალე პერვოურალსკს გაემგზავრება, რათა სვერდლოვსკის სტარტამდე ნორმალურ მოედანზე (თბილისის სკოლის მოედანი სტანდარტებს არ შეესაბამება) რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მაინც მოასწროს.

ერთეულთა შეჯიბრებაში გოგონათა შორის სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჯამში ბადალი არ ჰყავდა მე-60 სკოლის VIII კლასის მოსწავლეს მ. ცერცვაძეს — 119,1 ქულა. II ადგილი მოიპოვა 26-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ლ. გაბელაიამ — 113,84, III — ქ. გუჯაბიძემ — 109,44.

ჭაბუკებში ჩემპიონი გახდა 81-ე სკოლის მეათეკლასელი რ. არუთინიანი — 107,22. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მე-60 სკოლის X კლასის მოსწავლე დ. თვალაძე — 103,7 და 123-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე მ. სიხარულიძე — 99,87.

წყვილთა სრიალი ქ. მაჭავარიანმა და გ. თავაძემ მოიგეს, ცეკვაში კი ყველას ტყუპმა და-ძმა თამარ და თენგიზ ლაფერაშვილებმა აჯობეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სკოლის დირექტორს ნ. ნათაძეს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით ეთქვა, როგორ ესახება საქართველოში ფიგურული ციგურაობის განვითარების პერსპექტივები.

—მთავარია ბაზების ქსელის გაფართოება. ბუნებრივ საფარიან მოედნებზე მაღალი კლასის მოციგურავის მომზადება შეუძლებელია. საჭიროა სპეციალური ჯგუფების შექმნა და ამ ჯგუფების მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრებით დაკომპლექტება. სწავლის მსურველი ძალიან ბევრია და მათ ხელი უნდა შევუწყოთ, — თქვა ნ. ნათაძემ.

ლ. ხეცურიანი.

### მხოლოდ სამი კაცი...

ონის რაიონის ზამთრის სპარტაკიადის მონაწილეთა უმეტესობას მოსწავლეები შეადგენდნენ. მათი უპირატესობა შეჯიბრებებშიც აშკარა იყო. სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლებიდან უძლიერესთა ათეულებში მხოლოდ სამი კაცი მოხვდა.

სპარტაკიადის პროგრამაში მარტო რბოლები შედიოდა, ვინაიდან სამთოსათხილამურო სპორტი რაიონში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დაინერგა, ტრამპლინი კი არა გვაქვს.

საერთო გუნდური პირველობა გლოლელმა მოსწავლეებმა მოიგეს. II ადგილი დაიკავეს პიპილეთის, III — ირის საშუალო სკოლების კოლექტივებმა.

კოლმეურნეობათა და საწარმოდაწესებულებათა გუნდების შეჯიბრებაში ყველას ჩორდის ბარიტის მადაროთა სამმართველოს წარმომადგენლებმა აჯობეს.

ა. მაისურაძე.





# მოთხილამურენი ფალუნისკენ დაიძრნენ

ოთხი დღეც და ფალუნში მოთხილამურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. ყველა ქვეყანაში გადამწყვეტი სტარტებისთვის მზადება კვირას დასრულდა, გუნდები შვეციისკენ დაიძრნენ. ცხადია, მეტოქეთა შანსები თანაბარი არ არის, მაგრამ წარმატების იმედი ყველას აქვს, მედლებზე ყველა ოცნებობს. სპეციალისტები, მწვრთნელები, სტატისტიკოსები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ეროვნულ ჩემპიონატებს, შესარჩევ შეჯიბრებებს, უძლიერესთა შედეგებს თავიანთი მოთხილამურეების მაჩვენებლებს ადარებდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადების მიღება 4 თებერვალს შეწყვიტა. ასპარეზობის გასაშუქებლად ფალუნში 75 ქვეყნიდან ჩავა ბეჭდვითი ორგანოების 380, ტელევიზიისა და რადიოს 300 წარმომადგენელი. უკვე ცნობილია, რომ რბოლებში მედლებისთვის 145 ვაჟი და 68 ქალი იბრძოლებს, სტარტზე გამოვა 87 „მფრინავი მოთხილამურე“ და 53 ორჭიდელი, შვეციის ამ ქალაქში მათ 186 მწვრთნელი და წარმომადგენელი ჩაჰყვებათ.

მსოფლიოს XXX ჩემპიონატისთვის ყველა ბაზა კარგა ხანია მზადაა. შვედი სინოპტიკოსებიც იმედს იძლევიან, რომ თებერვლის შუა რიცხვებიდან ამინდის მხრივ შეფერხება არ იქნება.

ფალუნის ასპარეზობისთვის ნაკრები გუნდები ბევრგან ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა. გამონაკლისი მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო. იმის გამო, რომ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა მარტში ტარდება, გუნდი საკავშირო თასების გათამაშებისა და სხვა დიდი მასშტაბის შეჯიბრებების მაჩვენებლების მიხედვით შეადგინეს.

გდრ-ის ჩემპიონატი კლინგენტალის მიდამოებში ჩატარდა. რბოლაში ვაჟთა შეჯიბრებამ გ. გრიმერის აშკარა უპირატესობა დაადასტურა. მან 15 და 30 კილომეტრზე შესაბამისად 44.58,9 და 1:37.05,7 აჩვენა. ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა პ. ჰინცეს. როგორც 10, ისე 5 კილომეტრზე რბოლაში II ადგილზე გასულ გ. შმიდტს მან ორივეჯერ 11 წამი მოუგო.

ასევე ორმაგი გამარჯვება იზეიმა ჰ.-გ. აშენბახმა. მან „მფრინავ მოთხილამურეთა“ შორის ყველას აჯობა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში (255,5 ქულა, ნახტომები 88,5 და 86 მ), მერე კი პირველი იყო დიდ ტრამპლინზე ასპარეზობაშიც — 237,5 (95 და 94 მ). აშენბახის გარდა, ფალუნში გამოვა დ. კამპფიც, რომელიც ორივეჯერ მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

ამ დღეებში კაუვოლაში დამთავრდა ფინეთის ჩემპიონატი, რომლის შედეგების მიხედვითაც ქვეყნის ნაკრები დაკომპლექტდა. 30 კილომეტრზე რბოლაში ი. მიეტოს გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მან ხომ წლეულს 50 კილომეტრზე რბოლა მოიგო ჯერ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის კანდიდატთა შეჯიბრებაში, მერე კი — გფრ-ში გამართულ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში. ფალუნში ვაჟთა შეჯიბრება სწორედ 30 კილომეტრზე რბოლით დაიწყება. აქ მიეტოს ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მთავარ მეტოქეებად საბჭოთა და შვედი სპორტსმენები მიაჩნია.

ფინეთის ვაჟთა გუნდში შევიდნენ მიეტო, ვ. ნიუგორდი და პ. სინტონენი, რომლებმაც ჩემპიონატში II და III ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, ი. რეპო და ა. კოივისტო.

ქალები გამოცდას 5 კილომეტრზე რბენაში აბარებდნენ. ჰ. კუნტოლას ბადალი არ ჰყავდა. ფალუნში საასპარეზოდ წავლენ მეორე და მესამე პრიზიორებიც — მ. კაიოსმაა და ლ. სუიკპონენი, ნაკრებში შევიდა ჰ. ტაკალოც.

ორჭიდში ყველას აჯობეს ქვეყნის ნაკრების წევრებმა: რ. მიეტინენმა, ი. კუუაიამ, მ. სინკომ და ე. კილპინენმა.

ამერიკელებმა „მფრინავ მოთხილამურეთა“ გუნდის დასაკომპლექტებლად შეჯიბრება გამართეს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ტრამპლინზე, რომელიც აირონვუდში (მიჩიგანის შტატი) მდებარეობს. ვაშინგტონელი სტუდენტი, 20 წლის რ. სტილი 138 და 139 მეტრზე გადახტა, 342 ქულა მოაგროვა და ფალუნის საგზური მიიღო. დ. მარტინმა მეორე ნახტომით თ. დარგეის მიღწევა გაიმეორა — 144 მეტრზე იფრინა, მაგრამ II ადგილს ვერ ასცდა. III ადგილზე გავიდა ნორვეგიელი პ. კონგსლი — 325 ქულა (141 და 142 მ). იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს, მაგრამ ამ ქვეყნის გუნდის სახელით ვერ იასპარეზებს.

გფრ-ში გუნდის დაკომპლექტება შედარებით გართულდა. თებერვლის დამდეგისთვის აქ მხოლოდ 12 კანდიდატი ჰყავდათ შერჩეული. საკითხი საბოლოოდ ქვეყნის ჩემპიონატს უნდა გადაეწყვიტა. ცნობილი იყო მხოლოდ ორჭიდელთა და მორბენალ ვაჟთა 4-4 წევრის ვინაობა, ქალთა გუნდის უდავო კანდიდატი კი მხოლოდ ფ. ენდლერი იყო. ტრამპლინიდან ხტომაში საგზურები თავდაპირველად მხოლოდ ა. გროშს, ზ. შვინგჰამერსა და რ. ტუშს მისცეს.

მაგრამ ყველაზე თავგამოდებით მაინც ნორვეგიელები ემზადებიან, რომელთაც მდიდარი ტრადიციები აქვთ. მარტო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატებში ნორვეგიელებმა 23 გამარჯვება მოიპოვეს და 31 ოქროს მედალი მოიხვეჭეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გულხელდაკრეფილი არც სოციალისტური ქვეყნების მოთხილამურეები იქნებიან. შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზონ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის სპორტსმენებმა: ჩეხოსლოვაკიის „მფრინავ მოთხილამურეთა“ ჩემპიონატში გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. რაშკამ შესანიშნავი შედეგი მოიპოვა — 101 და 94 მეტრზე გადახტა. ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია ლ. შკოდაც.

პოლონეთის პირველობაში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. ფორტუნა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში მესამე იყო, დიდ ტრამპლინზე — მეხუთე. სამაგიეროდ, ბადალი არ ჰყავდათ ა. კშიშტოფიაკსა (252,5 ქულა, ნახტომები 78,5 და 78 მ) და ტ. ბობაკს (224,6, 97 და 107 მ).

წარმატების იმედი აქვს სსრ კავშირის გუნდსაც. როგორც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ ამას წინათ ბაკურიანში საკავშირო თასების გათამაშების დამთავრების შემდეგ გვითხრა, განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ მორბენლები. მწვრთნელის აზრით, ფალუნიდან არც ქალები და არც ვაჟები უმედლოდ არ დაბრუნდებიან. მართალია, გუნდის კაპიტანი, მსოფლიოს და ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. ვედენინი ტრავმის გამო ფალუნში ვერ იასპარეზებს, მაგრამ უმაღლეს დონეზე ბრძოლის უნარი მის შემცვლელებსაც შესწევთ.

შაბათს სსრ კავშირის მოთხილამურეთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც 23 სპორტსმენია, მოსკოვიდან ფალუნს გაემგზავრა.



მაგადანში დამთავრდა მოკრივეთა IV საკავშირო ტურნირი. მაგადანის კრივის ფედერაციამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია რვა მოკავშირე რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ქალაქების მოკრივეები. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. პოპენჩენკომ დააწესა პრიზი შეჯიბრების საუკეთესო მონაწილისთვის. ეს ჯილდო მოიპოვა მაგადანის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ვ. რიბაკოვმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ე. კოსიცინი, ვ. რიბაკოვი, ვ. კომაროვი, ნ. ბელოუსოვი, ვ. კუტორგინი, პრიზის შარშანდელი მფლობელი ლ. ფროლოვი (ყველა — მაგადანი), ა. მოტინი (კიევი), ვ. ლიხორგა (ბლაგოვეშჩენსკი), მ. სოკოლოვსკი (მაგადანი), ვ. მარკოვი (კიროვოგრადი) და ი. ვისოცკი (მაგადანი).

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული, პრიზის შარშანდელი მფლობელი ნ. ფროლოვი (მარცხნივ) და მისი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ბ. გიტმანი.

ს. ბელიაევის ფოტო (საკდესი).



საქდესი მოგვითხრობს

## კავშირი მშდ კომპლექსთან

— დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და კოლექტივებში „ზამთრის ძილს“ სამუდამოდ მოეღო ბოლო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს უკრაინის სსრ ზამთრის VIII სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. სავიცკიმ.

— წლევანდელი შეჯიბრებების თავისებურებაა მათი კავშირი მშდ კომპლექსთან. ამ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სპარტაკიადის პირველ ეტაპებზე სავალდებულო მოთხოვნად იქცა. თითქმის მთელი იანვარი უთოვლო იყო, თებერვალში კი საგრძნობლად დათბა, მაგრამ უკრაინაში უკვე ნახევარ მილიონზე მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ შეჯიბრებებში.

მასობრივი შეჯიბრებებისთვის საუცხოო პირობებია შექმნილი კიევის ქარხნებში — „არსენალში“, „კრასნი ეკსკავატორში“, „კომუნისტში“, ლვოვის გაერთიანება „ელექტრონში“ და რესპუბლიკის სხვა საწარმოებში. მშდ კომპლექსის სტარტებზე სპარტაკიადის პროგრამით ვოროშილოვგრადის ოლქში მასობრივად გამოვიდნენ მეტალურგები. მათგან სამოცმა პროცენტმა კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

სპარტაკიადამ გამოავლინა ნაკლოვანებებიც ბაზების გამოყენების საკითხში. მაგალითად, ვოროხტაში შესანიშნავი პირობებია სამთო-მოთხილამურეთა მომზადებისთვის, მაგრამ არსებული კომპლექსების „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ ჯერ კიდევ დაბალია.

... კიევის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

## რაიონებიდან სპორტული

**ადიგენი**

ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება 2, 3, 5 და 10 კილომეტრზე თხილამურებით რბოლაში. გოგონებს შორის 2 კმ-ზე რბოლაში I ადგილი დაიკავა ა. ჩიტორელიძემ, ჭაბუკებს შორის 3 კმ-ზე ასპარეზობაში ყველას აჯობა მ. ბოჭორიშვილმა. ჭაბუკებს შორის 10 კმ-ზე შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა თ. მწყერაშვილი (ყველა—ლელოვანი). მოსწავლეთა უმრავლესობამ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ნ. მამულაშვილი,
სპორტული სკოლის დირექტორი.

# ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი

რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს, პატარა სკვერის წინ, ახალი ჩამოსული ცოლ-ქმარი ერთმა სასიამოვნო შესახედავმა ქალმა გააჩერა და ზრდილობიანად ჰკითხა:

— მაპატიეთ, დასასვენებლად ჩამობრძანდით?

— დიახ, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.

— ბინა ხომ არ გნებავთ? ზღვასთან ახლოს ვცხოვრობ, კარგი ეზო და ბაღი მაქვს. ბავშვებიც სულ არ არიან აზვერები...

— ლევან, წავიდეთ? — ჰკითხა ქალმა ქმარს.

— წავიდეთ, — თქვა ვაჟმა და ორივენი გაჰყვნენ სახლის პატრონს. საღამოხანს, ეზოში, ლელვის ხის ქვეშ, მაგიდასთან, დიასახლისმა ლილიმ მოაგარაკეებს თავისი შვილები წარუდგინა:

— ეს ჩემი უფროსი ვაჟი რეზიკოა, — გააცნო ცოლ-ქმარს შავგვრემანი, ჩასკვნილი ბიჭი, — მეოთხე კლასშია... ეს კი მისი ბიძაშვილია, — ახლა თმაგრუზა, მხრებგანიერი გოგა წამოაყენა წინ, — მშობლები იმერეთში ჰყავს, ეს კი ჩვენთან ცხოვრობს, რეზიკოს კლასშია... ეს ჩემი უმცროსი ვაჟი ნუკრია გახლავთ, საბავშვო ბაღში დადის, გაისად სკოლაში წავა, — თქვა პატარა, მკერდამობურცულ, თვალებხამხამა ბიჭუნაზე.

ერთი კვირის შემდეგ აღელვებული ლილი გარინდებულ რეზიკოს გარშემო უვლიდა და ხმაჩახლეჩილი ტუქსავდა:

— ბიჭო, სად დაგლიჯე ეს ტანსაცმელი?! შარვალი მუხლებზე გაქვს გადამსკდარი, სახელოც მოგლეჯილია... კონკებად გიქცევია ყველაფერი... თქვი, სად იყავი? არ ამბობ, ხომ? კარგი! კიდევ გიყიდი ახალს...

— შენ რაღამ გადაგრია? თქვი, დღეს რა ჩაიდინე? ფიზკულტურის მასწავლებლისთვის ჭიდაობა რომ დაგიწყია და ხელი გიტკენია, რა ჰქვია ამას? იცოდე, მეტი აღარ შემიძლია, დღესვე დაურეკავ მამაშენს სოფელში.

მესამე დღეს ლილი ადრე დაბრუნდა შინ, საბავშვო ბაღიდან გაფითრებული ნუკრია მოიყვანა, ტახტზე მიუსვენა და აქვითინდა: — ესეც, ეს კომბოსტოს მატლი, ეს რაღამ გადარია? დღეს საბავშვო ბაღში ჩვენი მაღაზიის ნოქრის ძუკუ ძაგანიას ბიჭი იატაკზე დაუნარცხებია... დედამისი სამსახურში მომივარდა, ბავშვს ტვინის შერყევა აქვსო... მომჭრა თავი!

მეოთხე დღეს ლილი თავში ხელების ცემითა და მოთქმით შევიდა ეზოში.

— დავიღუპე, მეზობლებო, ნამდვილად დავიღუპე... რაღაც უბედურებაა ჩემს თავს... დღეს სკოლის დირექტორმა გამომიძახა და გამომლანძღა, შენმა შვილებმა სკოლა აიკლესო... რეზოს ავიძბას ბიჭისთვის მხარი ამოუგდია... გოგას კი თანაკლასელი ბოხუა და მერვეკლასელი ჯინორია ერთმანეთისთვის შეუხეთქებია და ცხვირიდან სისხლი უდინებია... ამას, ამას, ამ კომბოსტოს მატლს, ამ მაიმუნს დღეს სამი ბავშვი უტირებია... გვარში არავინ გვყოლია მხეცი და ესენი რამ გაამხეცა! ნეტავი რა ცოდვა მაქვს ჩადენილი, რომ ასე მწარედ მიხდის ღმერთი?... მთელ ქალაქში მომჭრეს თავი...

ერთ კვირას სახლში მშვიდობა სუფევდა. ორშაბათს კი, შუადღისას, შესვენებაზე შინ მისული ლილი უნებურად მოაგარაკე ცოლ-ქმრის უსიამოვნო ლაპარაკის მოწმე გახდა.

— დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, — შესჩიოდა ცოლი ქმარს. — რისთვის ჩამოვედით აქ, დასასვენებლად?

— დაისვენე მერე, — ყვიროდა ქმარი,—მე რას გიშლი. გადი ზღვაზე, წამოგორდი სილაზე, უყურე ლურჯად მოლივლივე ტალღებს და დაიმშვიდე ნერვები...

— მარტო წავიდე, მარტო? ქმარი არა მყავს? კარგი, ბატონო, წავალ, დღესვე წავალ...

— თეა, გამიგე, ძვირფასო, — შეევედრა ქმარი, — ნუთუ არ გინდა გამიგო?

— რა გაგიგო, რა, — ცხარობდა ქალი, — ბავშვები გადარიე, ქალბატონ ლილის იმ დღეს ნერვიულობისგან გული წაუვიდა. რამე რომ დამართოდა, სად უნდა გამოგვეყო თავი?

— რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — წუხდა ლევანი, — იცი, რა ბავშვები არიან! ასეთი შეუპოვარი, კერპი და თან ჯენტლმენი ბიჭები ჯერ არ მინახავს. ბუნებისგან უხვად აქვთ მომადლებული ღონეცა და ნიჭიც... და ახლა ეს ნიჭი განუვითარებელი დავტოვო? სხვას რომ თავი დავანებო, მე ხომ ჩემი სინდისის წინაშე ვარ პასუხისმგებელი...

— ლევან, ერთხელ მაინც წამომყევი ზღვაზე, ერთხელ იბანავე, კარგი? არა? მაშინ რისთვის წამოხვედი აგარაკზე?

— არა, — გაჯიუტდა ლევანი, — თავი დამანებე, მე ჩემს საქმესა და სინდისს ვერ ვუღალატებ. ძალიან გთხოვ, ხვალ ჩამოდი ბაღში და ნახე, რა ბიჭები არიან... დარწმუნებული ვარ, მერე აღარ მისაყვედურებ.

... ნუკრიასა და მის ბიძაშვილ გოგას მაგრად ჩაევლოთ ხელები ერთმანეთისთვის, ფეხები რაც შეიძლება უკან გაედგათ და თავებით ჯიქურად აწვებოდნენ ერთმანეთს.

ზოგჯერ გოგა სწრაფად იცვლიდა მხარს, მძაფრად უტევდა, მაგრამ პატარა ხელიდან უსხლტებოდა და არ აძლევდა ილეთის ჩატარების საშუალებას.

— თეა, ხედავ, რა რაინდებივით იბრძვიან! — აღტაცებული გაჰყვიროდა ლევანი, — აი, რას ნიშნავს ტალანტი და გონივრული წვრთნა!

ერთი წამის შემდეგ გოგა ისევ ეცა ნუკრიას, მაგრამ პატარამ მოულოდნელად მეტოქეს მარცხნივ უბიძგა, თვითონ კი, მკვეთრი მოძრაობით ტანი მარჯვნივ გადაიტანა, ძლიერად გამოჰკრა ფეხი მარცხენა ფეხში მოწინააღმდეგეს, წამოაჩოქა და ზევიდან დააწვა...

— მაგრად დაიჭირე, არ აუშვა, — ასწავლიდა ლევანი, — ყოჩაღ! აი ასე... დედამისი კი კომბოსტოს მატლს ეძახის. რა უსამართლობაა, ხალხო!

მაგრამ უფროსი ნუკრიას ხელიდან დაუძვრა ფანდიდან და გაავებული ეცა, თვალისდახამხამებაში მოგვერდი გაუკეთა, გულაღმა დასცა და დაიჭირა... ნუკრიამ მძიმე-მძიმედ ამოსწია მაღლა მუცელი, ამობურცა და წელში რკალივით მოიხარა.

— თეა, ხედავ? — ხარობდა ლევანი, — ღმერთმანი, ამ ბიჭებს ნამდვილ ფალავნებად გამოვზრდი... აი, ნახავ!

გოგა ზემოდან ძლიერად აწვებოდა, უნდოდა დაეძლია ხიდზე შემდგარი ბიჭი. პატარას სახეზე სისხლი მოაწვა, კისერზე ძარღვები დაებერა, თვალთ დაუბნელდა, სიმწრის ოფლი ასკდებოდა, სულს ძლივს ითქვამდა, ძალა ელეოდა, ცოტაც და ბეჭებით შეეხებოდა მიწას. მაგრამ... უცბად ნუკრიამ რაღაც ზეადამიანური ძალით მაღლა აიქნია ტანი, მოწინააღმდეგე გვერდზე ბურთივით გადააგორა, თვალები ეზოსკენ გააპარა და შეშინებულმა დაიყვირა:

— ვაიმე, დედა მოდის!

ლელვის ხის მხრიდან ლილი მოდიოდა. იგი ნუკრიასთან გაჩერდა, ჩაიმუხლა, თვალებში ჩააცქერდა შვილს და ოფლიან ტანზე ნელ-ნელა გადაუსვა ხელი. მერე გარინდებული ბიჭი წამოაყენა, გულში მაგრად ჩაიკრა და თვალებგაბრწყინებულმა ჩაილაპარაკა:

— ისევ უსუსური და პატარა მეგონა, კალთიდან არ ვიშორებდი... ეს კი, ღმერთმანი, უკვე ვაჟკაცი, ნამდვილი ჰერკულესი ყოფილა.

ვ. გაგლიძე.

# დროის შესაფერისი გადაწყვეტილებანი

ჟენევა, 12 თებერვალი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მ. კილანინმა პრეს-კონფერენციაზე, სოკ-ის აღმასკომის სხდომის შემდეგ, განაცხადა, რომ მიღებულია მხოლოდ ერთი განაცხადი 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე — მოსკოვიდან. ქალაქებიდან წინადადებათა მიღების ბოლო ვადაა 31 მარტი. ამ დღის შემდეგ სოკ-ი აღარ განიხილავს არც ერთ განაცხადს. ამას გარდა, ჯერ არც ერთ ქალაქს არ წარმოუდგენია თავისი კანდიდატურა 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებაზე. ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების ადგილების საკითხი განიხილება სოკ-ის სესიაზე ვენაში (ოქტომბერი).

სოკ-ის აღმასკომმა განიხილა და მიიღო ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენთა დაშვების ახალი წესების პროექტი. იგი, როგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სოკ-ის აღმასკომის წევრმა, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ანდრიანოვმა, ძველზე უფრო პროგრესულია და ასახავს რეალურ ვითარებას ოლიმპიურ მოძრაობაში. პროექტი დაეგზავნება ყველა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, გამოქვეყნდება პრესაში სპორტული საზოგადოებრიობის ფართო განხილვისთვის.

სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე მიღებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დროის მოთხოვნებს ითვალისწინებს. ასე, 1976 წლის ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილია ყინულზე ცეკვები, დაემატა ციგურებით სწრაფრბენაში 1.000-მეტრიანი დისტანცია ვაჟთათვის. 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე მონრეალში გათამაშდება მედლების დამატებითი 4 კომპლექტი ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. დამტკიცებულია ოლიმპიური ტურნირის საბოლოო პროგრამა ტანვარჯიშში.

ახლადდაწესებული ოლიმპიური თასით პირველად დაჯილდოვდებიან ქალაქები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, საერთაშორისო სპორტული და სხვა ორგანიზაციები ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ამ წინადადებით გამოვიდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი. ცალკეული პირები დაჯილდოვდებიან ოლიმპიური ორდენით და ოლიმპიური დიპლომით.

აღმასრულებელმა კომიტეტმა უარჰყო სოკ-ის ზოგიერთი წევრის მოთხოვნა, არ აღიმართოს ეროვნული დროშები და არ შესრულდეს სახელმწიფო ჰიმნები ოლიმპიურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დაჯილდოებისას.

# კიდევ ერთი ნახევარფინალისტი

ამ დღეებში გაიმართა ევროპის კალათბურთელთა ტურნირების ორი კალენდარული შეხვედრა.

კლერმონ-ფერანში (საფრანგეთი) თამაშობდნენ ადგილობრივი კალათბურთელები და ბულგარეთის ჩემპიონი ქალთა შორის, სოფიის „მარიცა". საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი შეხვედრა შინ „მარიცამ" 10 ქულის უპირატესობით მოიგო. განმეორებითს მატჩში საფრანგეთის ჩემპიონის წინაშე კონკრეტული ამოცანა იდგა — როგორმე 11-ქულიანი სხვაობისთვის მიეღწია.

ეს ამოცანა მან შეასრულა. ფრანგი კალათბურთელები უკვე პირველსავე ტაიმში წინ იყვნენ 13 ქულით — 39:26. შესვენების შემდეგაც იგრძნობოდა მათი უპირატესობა. საფრანგეთის ჩემპიონმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 73:55.

გამარჯვებულ გუნდში კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ შაზალონი, რიფნო, ბირმაიერი და გიდოტი.

რა მდგომარეობაა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში? საფრანგეთის ჩემპიონს ფაქტიურად მოპოვებული აქვს ნახევარფინალში თამაშის უფლება. მას 2 ქულა დაუგროვდა და, პრაღის „სლავიასთან" დარჩენილი 2 მატჩის შედეგის მიუხედავად, პრიზისთვის ბრძოლას განაგრძობს. ფრანგებმა პირველი შეხვედრა მოუგეს ლოძის ლკს-ს — 156:95 (ორი შეხვედრის ჯამში), მეორე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფიის „მარიცას"—128:120.

დაძაბული გამოდგა სოფიის ცსკა-ს („სეპტემვრიისკო ზნამე") და ტურინის „საკლიის" განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში (ვაჟთა ტურნირი).

პირველი ბრძოლა, რომელიც ტურინში ჩატარდა, იტალიელებმა მოიგეს 16 ქულით — 75:59. განმეორებითს შეხვედრაში ინიციატივა თავიდან ხელთ იგდეს ბულგარელებმა. მე-12 წუთისთვის ისინი წინ იყვნენ 15 ქულით (27:12). მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში ბრწყინვალედ ითამაშეს ამერიკული წარმოშობის იტალიელებმა — ლეინგმა (სიმაღლე 209 სმ) და კირკლენდმა (202 სმ). სწორედ მათი ზუსტი სროლების წყალობით ტურინის გუნდმა საგრძნობლად შეამცირა სხვაობა. პირველი ტაიმი ბულგარელებმა მოიგეს — 41:38.

მეორე ტაიმში ინიციატივა მთლიანად იტალიელთა მხარეს გადავიდა. მატჩის საბოლოო შედეგია 83:75 „საკლიის" სასარგებლოდ. ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ტურინის გუნდში — ლეინგი (39 ქულა), კირკლენდი (20), ბულგარელთა შორის — მარინოვი (26).

# დღეს გადაწყდება

ინტერვიუ ტელეფონით

ზაგრები: „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.

სპლიტი: იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი მილან მილანიჩი.

დღეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართება იუგოსლავიისა და ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების გადამწყვეტი მატჩი. მან უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონატის უკანასკნელი, მეთექვსმეტე ფინალისტი. ახლახან, ზაგრებში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატზე ყოფნისას ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ჯ. ენუქიძეს შესაძლებლობა მიეცა ტელეფონით ესაუბრა იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელთან — მილან მილანიჩთან. მაშინ მილანიჩი ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იყო ადრიატიკის სანაპიროზე, ქალაქ სპლიტში. მილანიჩი იუგოსლავიის საფეხბურთო ელიტაში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ბელგრადის ცნობილ „ცრვენა ზვეზდას", რომელსაც მისი მეთაურობით არაერთი წარმატება მოუპოვებია. მილანიჩი იმითაც არის ცნობილი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, 14 წლისა, სამშობლოს განთავისუფლებისთვის მამაცურად იბრძოდა პარტიზანთა რიგებში. მილანიჩი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს საერთაშორისო ფეხბურთის ამბებს, კარგად იცნობს საბჭოთა ფეხბურთელებს, მათ შორის ქართველ სპორტსმენებსაც. ჩვენი კორესპონდენტი მას პირველად 1970 წელს შეხვდა და მაშინ მწვრთნელმა ფეხბურთის შესახებ ბევრი საგულისხმო აზრი გამოთქვა.

ამჯერად ძველმა ნაცნობებმა ტელეფონით ისაუბრეს. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.

● **გამარჯობათ, მილან. სამწუხაროდ, სპლიტში ვერ გესტუმრეთ. თუ შეიძლება ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო შეკითხვებზე გაგვეცით პასუხი.**

— სიამოვნებით, ძალიან მიხარია, რომ „ლელოს" მკითხველებს აინტერესებთ ჩვენი ფეხბურთის ბედი.

● **როგორ ემზადებით, რა პრობლემები დგას თქვენს წინაშე?**

— სათამაშო მინდორი შესანიშნავი გვაქვს, გუნდი საგულდაგულოდ ვარჯიშობს, თავს არავინ იზოგავს. მაგრამ ეს მზადების მხოლოდ ერთი მხარეა. სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა ძლიერ კოლექტივებთან შეხვედრებში გამოგვეცადა თავი და ამიტომ გუნდის მზადყოფნაზე რაიმე გარკვეულის თქმა მიჭირს. საერთოდ, ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ, ახლა კი რაღაც შინაგანი გრძნობა მიკარნახებს, რომ ძალიან მძიმე ბრძოლა მოგველის. ესპანელებთან მატჩში სასურველ შედეგს თუ მივაღწიეთ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

● **რას მივაწეროთ თქვენთვის ესოდენ პესიმისტური განწყობილება?**

— ფიფა-ს პრეზიდენტ სტენლი როუზის მაქინაციებს. იმდენი ქნა, რომ ჩვენთვის სასურველ დროს თამაშის საშუალება არ მოგვცა.

● **წარმატების შემთხვევაში თქვენ ითამაშებთ იმ ჯგუფში, სადაც გამოვლენ მსოფლიოს ჩემპიონები — ბრაზილიელები, აგრეთვე, შოტლანდიელები და ზაირის ნაკრები. რამდენად ხელსაყრელად მიგაჩნიათ ასეთი კომპანია?**

— ოღონდ ფინალში გავიდეთ და თანახმა ვართ თუნდაც ეშმაკებისგან შემდგარ გუნდს შევხვდეთ. მაგრამ როგორც იცით, ჯერჯერობით ჯოჯოხეთის ბინადარნი ფეხბურთს არ თამაშობენ, ხოლო მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრის უფლების მოპოვება, გინდა დასაწყისში, გინდა ჩემპიონატის ბოლოს, საპატიოც და საინტერესოც არის.

● **თქვენ ალბათ ნახეთ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა თამაში ბელგრადში. რა აზრი შეგექმნათ ჩვენს გუნდზე?**

— სამწუხაროდ, მატჩს არ დავსწრებივარ, მაგრამ მოგვიანებით შესაძლებლობა მომეცა გადაღებული მენახა ტელეფირზე ოფკ-ს და „დინამოს" შეხვედრა. თქვენმა ბიჭებმა საუკეთესოდ ითამაშეს, ლონდონში კი, მწარე მარცხი იწვნიეს. ალბათ, ამან ძალიან იმოქმედა თქვენს გულშემატკივრებზე, მაგრამ, რას იზამ, ფეხბურთს მუდამ სიხარული როდი მოაქვს. ერთი შეკითხვა მეც მაქვს. ახლა ვინ არის „დინამოს" მწვრთნელი?

● **გივი ჩოხელი. თუ არ ვცდები თქვენ მას იცნობთ.**

— როგორ არა, კარგად ვიცნობ და მიხარია, რომ მას დინამოელთა ხელმძღვანელობა დაავალეს. მომიკითხეთ მიშა მესხი და სლავა მეტრეველი. ჩემთან ჯაიჩიც არის და მთხოვა თბილისელ ფეხბურთელებს მისგან მოკითხვა გადასცეთ. ჯაიჩი თქვენი სპორტსმენების დიდი ქომაგია.

● **იუგოსლავიის გაზეთები წერენ, თითქოს თქვენ მადრიდის „რეალში" აპირებთ გადასვლას. მართალია ეს?**

— მე შემომთავაზეს „რეალის" მწვრთნელობა, მაგრამ ჯერჯერობით არც ჰო მითქვამს, არც არა. ახლა არც ვფიქრობ ამაზე. ყველაფერი 13 თებერვლის მატჩის შემდეგ გადაწყდება.

● **გმადლობთ საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებას.**

— მეც დიდი მადლობელი ვარ. გთხოვთ „ლელოს" საშუალებით ჩემი კეთილი სურვილები გადასცეთ ქართველ ფეხბურთელებს.

*ეს საუბარი 2 თებერვალს შედგა, დღეს კი, 13 თებერვალს, მაინის ფრანკფურტში გაირკვევა იმ ერთადერთი დარჩენილი საგზურის ბედი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლებას იძლევა.*

ზაგრები — თბილისი.

## ძვირფასი ჯილდო და ცოცხალი თილისმა



ლუსინდა პალმერი ყველაზე ახალგაზრდაა ინგლისელ ცხენოსან ქალთა შორის. ამის მიუხედავად, მან თავიდანვე წარმატებებს მიაღწია და გაიმარჯვა „ბადმინტონ ჰორს ტრაიელზ"-ის შეჯიბრებაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის საცხენოსნო სეზონის პირველი ნახევრის მწვერვალს წარმოადგენს.

„ამ წარმატებისთვის დედოფალმა ელისაბედმა ძვირფასი ჯილდო მომიძღვნა, ხოლო პატარა ძაღლი ოლივერი ჩემი ცოცხალი თილისმაა", — განუცხადა ლუსინდამ ფოტორეპორტიორებს, რომლებიც მას გამარჯვების შემდეგ გარს შემოეხვივნენ და სხვადასხვა პოზაში სურათებს უღებდნენ.

ოუ იექსიდან სოფლით



## მერი პიტერსის ახალი სურვილი

მერი პიტერსი, რომელმაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში ხუთჭიდში ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა, დღეს მწვრთნელია, ნორჩებს ავარჯიშებს. ოლიმპიადიდან ბელფასტში დაბრუნების შემდეგ მერის ჟურნალ „ბელფასტ ტელეგრაფის" რედაქციაში ჰკითხეს, რა საჩუქარს ისურვებდით თქვენი შესანიშნავი მიღწევის აღსანიშნავადო. მერიმ უყოყმანოდ უპასუხა: „გთხოვთ ახალი მძლეოსნური სარბენი ბილიკის მოსაწყობად 18000 გირვანქა სტერლინგით დამეხმაროთ".

საწყენია, რომ მერი პიტერსის ოცნება ჯერ არ ასრულებულა. ამ დიდად სასარგებლო საქმეში მას დაეხმარა მხოლოდ უნივერსიტეტი, რომლის ბუნებრივ სტადიონზეც მძლეოსნური მოედანი უნდა გაკეთდეს. უნივერსიტეტმა გაიღო 15000 გირვანქა სტერლინგი, დანარჩენი 3000 კი თვით მერიმ იშოვა. მან სამი თვის განმავლობაში სკოლებსა და კლუბებში 120 საუბარი ჩაატარა, უამრავი ავტოგრაფი დაარიგა...

ერთ-ერთი საუბრის დროს პიტერსმა თქვა: „ათ წელიწადს ვოცნებობდი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებაზე. ამჯერად ჩემი სურვილია ახალი მძლეოსნური მოედნის გაკეთება და მჯერა, რომ ამასაც შევძლებ".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02471